# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

## დადგენილება №01-06-02/22

ქ. თბილისი

22 ივლისი 2020

### სტუ-ის სარგებლობაში არსებული ფართობის უვადო სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), ბატონი კარლო კოპალიანის 2020 წლის 3 ივლისის №0000558584 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი), კანონით დადგენილი წესით, გადასცეს:
   - სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №302 დადგენილების შესაბამისად, უვადო სარგებლობის უფლებით, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.14.05.007.073) ნაწილი, კერძოდ: შენობის მე-6 სართულიდან №6, 7, 8, 9 ოთახები (110.9 კვ.მ) და მე-7 სართული სრულად (1587,65 კვ.მ);
   - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.14.05.007.073) მე-8 სართულზე (1049,6 კვ.მ) ნახაზით წარმოდგენილი ფართობები (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

## VI სართულის. გადასაცემი ფართი 110.9 მ²



## VII სართულის. გადასაცემი ფართი 1587.65 მ²



**შენიშვნა:** წინამდებარე ნახაზი შესრულებულია სტუ-ის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტის (ბიუროს) მიერ 2014 წელს შესრულებული კიბერნეტიკის ინსტიტუტის საპროექტო ნახაზების შესაბამისად


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი
ელ. ფოსტა: gtu.archdep@gtu.ge
ტელ.: +995 (032) 2 365143


კიბერნეტიკის ინსტიტუტი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტის უფროსი | ზურაბ ტიტვინიძე არქიტექტურის დოქტორი პროფესორი | არ. ავტორი | ზურაბ ტიტვინიძე | ხელმოწ. | ნახაზი | სული | სტადია / თარიღი |
| | | არ. თანაავტორი | ალექსი ცისკარიშვილი, გიორგი დავაძე | ხელმოწ. | შეასრულა | ალექსი ცისკარიშვილი, გიორგი დავაძე | 2020 წ. |

თბილისი 2020 წ.

## VIII სართულის. გადასაცემი ფართი 1049.6 მ$^2$



**შენიშვნა**: წინამდებარე ნახაზი შესრულებულია
სტუ-ის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტის (ბიუროს) მიერ
2014 წელს შესრულებული კიბერნეტიკის
ინსტიტუტის საპროექტო ნახაზების შესაბამისად

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი<br>ელ. ფოსტა: gtu.archdep@gtu.ge<br>ტელ.: +995 (032) 2 365143 | | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | | | | | |
| დეპარტამენტის უფროსი | ზურაბ ტიტვინიძე<br>არქიტექტურის დოქტორი პროფესორი | პრ. ავტორი | ზურაბ ტიტვინიძე | ხელმოწ. | | ნახაზი | |
| | | პრ. თანაავტორი | ალექსი ცისკარიშვილი, გიორგი დავაძე | ხელმოწ. | | შეასრულა | ალექსი ცისკარიშვილი, გიორგი დავაძე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნახაზი | | სულ | | სტადია | თარიღი |
| შეასრულა | ალექსი ცისკარიშვილი, გიორგი დავაძე | | | | 2020 წ. |

თბილისი
2020 წ.